საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გენადი მაკარიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	15	20
წერის უნარი	16	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5
პროფესიული აქტივობები	0	5
ქულათა ჯამი	77	100

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

გენადი მაკარიძის

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. გენადი მაკარიძეს კოლეგები ახასიათებენ როგორც პატიოსან, კეთილსინდისიერ, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნებით აღსავსე პიროვნებას.

გენადი მაკარიძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით, კანდიდატს ადმინისტრაციული სახდელი არ დაკისრებია.

ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, გენადი მაკარიძე პიროვნულად მტკიცე, პრინციპული, ობიექტური, სამართლიანი და მედეგი პიროვნებაა. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ იგი თავისუფალია პოლიტიკური თუ სხვა სახის გავლენებისგან.

გენადი მაკარიძე არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი. ამასთან, არ არსებობს მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ იყო დამოუკიდებელი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, გენადი მაკარიძე კორექტული, თავდაჭერილი და

გაწონასწორებული პიროვნებაა. კოლეგების თანახმად, იგი გამოირჩევა ეთიკური ქცევებით, ღირსების შეგრძნებით. საჯარო მოსმენაზე კანდიდატი იყო კორექტული და თავაზიანი.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ გენადი მაკარიძის მიმართ დისციპლინური ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. იგი არ ყოფილა წარმოდგენილი სასამართლო დავაში მხარედ ან დაზარალებულად.

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, გენადი მაკარიძე სარგებლობს მაღალი მორალური და პროფესიული რეპუტაციით როგორც კოლეგებში, ასევე ზოგადად იურიდიულ წრეებში.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება.

გენადი მაკარიძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ გამოვლენილა კონკრეტული გარემოებები, რაც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: გენადი მაკარიძემ ისაუბრა დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსზე და ხაზი გაუსვა იმ პრაქტიკულ სირთულეებს, რომლის წინაშეც შეიძლება ინდივიდუალურ შემთხვევაში დადგეს მოსამართლე. კანდიდატმა გაიხსენა საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებმაც შეცვალეს საერთო სასამართლოების პრაქტიკა. ასევე, გენადი მაკარიძემ გამოყო უზენაესი სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა ახალი პრაქტიკა. კანდიდატი მეტნაკლებად იცნობს კონსტიტუციურ ცვლილებებსაც. მოსმენის პროცესში გამოვლინდა ნაკლოვანებებიც: კანდიდატი არ იცნობს მოდელურ წესებს, პასუხი თანაზომიერების პრინციპისა და უფლების შეზღუდვის

სამართლებრივი საფუძვლების შესახებ არ იყო დამაკმაყოფილებელი, იგივე შეიძლება ითქვას მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის, აგრეთვე, საერთაშორისო სავაჭრო პალატის მნიშვნელობაზე და სავაჭრო ჩვეულებების შესახებ დასმულ შეკითხვებზეც.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის მოქმედი მოსამართლე და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, რომლის გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი წერილობით მსჯელობისას სწორად იყენებს და განმარტავს სამართლის ნორმებს.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებაში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. მისი გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, გენადი მაკარიძის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის დარგში დასაბუთების მხრივ სრულყოფილია და ხასიათდება დამაჯერებლობით.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებებზე მუშაობისას გენადი მაკარიძემ გამოავლინა დასაბუთებული მსჯელობისა და ანალიტიკურ-ლოგიკურ აზროვნების უნარი. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, გენადი მაკარიძის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებელი შეადგენს 81.6%-ს.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა იმსჯელა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ სამართლებრივ შეკითხვას კანდიდატმა უპასუხა, მისი მსჯელობა რიგ შემთხვევებში არ იყო დამაკმაყოფილებელი (მაგალითად, სამომხმარებლო ურთიერთობებში სუსტი მხარის დაცვის პრინციპზე, ხელშეკრულების მისადაგებაზე შეცვლილი გარემოებისადმი).

წერის უნარი: გენადი მაკარიძემ წარმოადგინა 1 სასამართლო გადაწყვეტილება საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ გენადი მაკარიძე აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად,

სამართლებრივ დოკუმენტებს არ ტვირთავს არამიზნობრივი და შაბლონური მსჯელობით. რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატი წერის პროცესში ავლენს მსჯელობის ლოგიკურად გადმოცემის უნარს. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, გენადი მაკარიძე ფლობს გადაწყვეტილების წერის კულტურას და შესაბამის უნარ-ჩვევებს. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების გარდა კანდიდატს არ წარმოუდგენია სხვა სახის სამართლებრივი ნაშრომი (სტატია, მონოგრაფია), რაც მომცემდა შესაძლებლობას უკეთ შემეფასებინა სამართლებრივ წყაროებთან კანდიდატის მუშაობის კულტურა.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი: კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი კომუნიკაციისა და გამართულად მეტყველების უნარი. კანდიდატს შეუძლია განსხვავებული აზრის მოსმენა მშვიდად, საუბრობს გაწონასწორებულად, აზრს გადმოსცემს ნათლად და მკაფიოდ. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ გენადი მაკარიძეს აქვს კომუნიკაციის სათანადო უნარები.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები გენადი მაკარიძეს ახასიათებენ პუნქტუალურ და შრომისმოყვარე პიროვნებად, რომელსაც აქვს სტრესულ და დატვირთულ სამუშაო ვითარებაში პროდუქტიული მუშაობის უნარი. რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატი სასამართლო პროცესს წარმართავს სათანადოდ, ხოლო მხარეების მიმართ ურთიერთობისას გამოირჩევა გულმოდგინებით. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, გენადი მაკარიძე პროცესს წარმართავს კარგად და ფლობს შესაბამის საპროცესო ნორმებსა და უნარ-ჩვევებს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, გენადი მაკარიძეს საანგარიშო პერიოდში (1030 დღე) დასრულებული აქვს 552 საქმე, დღეში საშუალოდ 0.5 საქმემდე. კანდიდატის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქმეთა განხილვის მაჩვენებელი 88.1%-ს, ხოლო გადაწყვეტილების მომზადების მაჩვენებელი 93.3%-ს აღწევს, რაც საერთო ჯამში მიუთითებს კანდიდატის პუნქტუალურობასა და ორგანიზებულობაზე.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ 10-ზე მეტ ღონისძიებაში, მათ შორისაა სემინარები საკორპორაციო სამართლის,

საგადასახადო დავების პრობლემატური საკითხების, ლტოლვილთა სამართლის, ადმინისტრაციული სამართალწარმოების აქტუალური საკითხების შესახებ და სხვ.

გენადი მაკარიძე იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის VI ჯგუფის მსმენელი (2011წ.), მან იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა 56-ე ადგილი.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. გენადი მაკარიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 77 ქულით, კერძოდ:
   2.1. სამართლის ნორმების ცოდნა - 16 ქულა;
   2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 15 ქულა;
   2.3. წერის უნარი - 16 ქულა:
   2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 13 ქულა;
   2.5. პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში - 14 ქულა;
   2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 3 ქულა;
   2.7. პროფესიული აქტივობა - 0 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28.05.21